ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

# 35 (9926) • 19 seqtemberi • 2011 w.

# ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

## დვაბზუ-ბახვის გზა საზეიმოდ გაიხსნა

გაზეთი „ალიონი“

შაბათს, საქართველოს რეგიონული მართვის და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი მესტიისა და ყაზბეგის გზების გახსნის შემდეგ გურიას ესტუმრა. სტუმრობას პირობითად ვამბობთ, თორემ იგი გურიაში ხშირად ჩამოდის და ადგილზე აქტიურად მონაწილეობს რეგიონის პრობლემების გადაჭრაში თუ სხვა საკითხების მოგვარებაში.

,,მადლობა ჯახვას, მაგარი გზაა!“–ასე შეაფასა მინისტრმა შპს ,,გზამშენი 18“-ის (უფროსი თემურ ჯახვა) მიერ მოკლე დროში შესრულებული დვაბზუ-ბახვის ცენტრის ახალი ასფალტის საფარით დაგებული გზა. იმავდროულად, პროექტით კეთილმოწყო სოფ. ბახვის ცენტრი. ამ პროექტისათვის 1,5 მილიონი ლარი დაიხარჯა.

მადლობის ნიშნად, სოფ. ბახვის საჯარო სკოლის დირექტორმა მზია ვაშალომიძემ რამაზ ნიკოლაიშვილს წიგნი ,,სოფელი ბახვი“ უსახსოვრა.

**რამაზ ნიკოლაიშვილმა** ჟურნალისტებთან განაცხადა:

**–,, ჩვენ ბახვის და მიმდებარე სოფლების მოსახლეობას დავპირდით, რომ აქ ახალი გზა იქნებოდა. საგზაო კომპანიამ გზასთან ერთად მოახდინა სკოლის რეაბილიტაცია. ასევე ჩვენ დავიწყეთ ბუნებრივი აირის გამოყვანა ამ სოფლებისაკენ. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია იმით, რომ მრავალი ადამიანის გული გავახარეთ, ამავდროულად მრავალი ადამიანი დავასაქმეთ. რეგიონისთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ჩვენ ვიწყებთ ბახმაროს რეაბილიტაციის პროექტს, ეს კიდევ შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, რაც გურიას და მის ეკონომიკას წაადგება.“**

**ვალერი ჩიტაიშვილი,** გურიის გუბერნატორი:–,, გზის მშენებლობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვში დასრულდა. შპს ,,გზამშენი 18“ სამუშაოები ხარისხობრივად კარგად შეასრულა. აქ ადგილობრივი საგზაო მუშაობდა, ადგილობრივი მუშახელი იყო დასაქმებული და ანაზღაურებაც ადგილობრივებმა მიიღეს. სამომავლოდ ასეთი გზა გაკეთდება ყველა დიდ ცენტრში“

გუშინ რამაზ ნიკოლაიშვილმა სოფელ ლესაში საზეიმოდ გახსნა ოზურგეთი-ლანჩხუთის დამაკავშირებელი გზა.

## გაბრიელ ეპისკოპოსის სამრევლო სკოლა 15 წლისაა

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლამ ახალი სასწავლო წელი ოზურგეთის სხვა სკოლებისაგან განსხვავებით, ერთი დღით ადრე 14 სექტემბრს დაიწყო. ამ დღის აღსანიშნავად სკოლაში ღონისძიება მოეწყო, რომელიც ნამდვილი ქართული სულით იყო გაჯერებული. სხვადასხვა კლასის მოსწავლეებმა ჩვენი ქვეყნის ტრადიციული ცეკვები და სიმღერები შეასრულეს. ღონისძიების ბოლოს სცენაზე წლევანდელი პირველკლასელებიც მიიწვიეს, რომლებიც ლექსებით მიესალმნენ დამსწრე საზოგადოებას

აღნიშნული ღონისძიება ახალი სასწავლო წლის დაწყების გარდა სკოლის 15 წლის იუბილესაც ეძღვნებოდა. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა 15 წლის წინ კავშირმა ,,მრევლმა“ საპატრიარქოსთან მეუფე იოსების ლოცვა-კურთხევით დააარსა. მისი დამაარსებლები არიან ნინო გოგეშვილი და რუსუდან კვირკველია. ამჟამად სკოლის დირექტორი დეკანოზი მამა მათეა (გორდელაძე) მოძღვარი კი მამა ვახტანგი (კოხაძე).

სკოლაში ფუნქციონირებს თვითშემოქმედების წრეები: ხალხურ საკრავთა, ცეკვის, საგალობლის, ხალხური სიმღერის და ჭადრაკის.

რაც შეეხება აღნიშნულ ღონისძიებას, მისი ორგანიზატორები არიან ამავე სკოლის მასწავლებლები მაია ბერიძე და მაია ბეშიტაიშვილი.

## კვლავ ახმიანდა სკოლის ზარი

ნინო ნიკოლაიშვილი

*ახალი სასწავლო წელი უკვე დაიწყო. ამ დღისთვის თითქმის ყველა ოჯახი განსაკუთრებულად ემზადება და სასკოლო ცხოვრებით ცხოვრობს. სხვა ყველა საფიქრ-საზრუნავს მცირე დროით გვერდით დებენ და ელიმებათ თუ არა, ღიმილი მაინც მეფობს ირგვლივ. ახალი ტანსაცმელი, მონატრებულ მეგობრებთან შეხვედრა, მასწავლებლების თბილი დახვედრა, ბევრისთვის სწავლასთან ზიარების სურვილი, საინტერესო სასკოლო თავგადასავლების მოლოდინი, ეს ყველაფერი ახალ სასწავლო წელთან ასოცირდება. მაგრამ მაინც განსაკუთრებულია იგი ყველა პირველკლასელისთვის. წელს კიდევ ერთი სიახლე, დახვდათ მათ სკოლაში. თითოეულ მოსწავლესა და მათ მასწავლებელს საჩუქრად სასწავლო კომპიუტერი გადაეცათ, რომელშიც ჩატვირთულია სასკოლო პროგრამები და თამაშობანი. ახალ გარემოს, ახალ ადამიანებთან შეხვედრას სხვადასხვანაირად გამოხატავენ პატარები. ზოგი მშობლებსა და ახლობლებს თავს აწონებს, ნახეთ რა მაგარი გოგო-ბიჭი ვარო, ზოგიც დედებს მაგრად ჩასჭიდებია და შეშინებული თვალებით იცქირება. აქა-იქ იცრემლებიან კიდეც. თუმცა შიშიცა და გაოცებაც რამდენიმე დღესა თუ კვირაში გაივლის და პირველკლასელები უკვე ჩვეულ სასკოლო რიტმში დგებიან. ასე იყო, ასე არის, ასე იქნება კვლავაც.*

ახალი სასწავლო წლის პირველი დღე ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ლელა იმედაშვილმა და მხარისა და მუნიციპალიტეტის მაღალჩინოსნებმა ყველა სკოლის მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობელს მიულოცეს. თავად კი ბახვის, №2 და სოფელ ოზურგეთის საჯარო სკოლები მოინახულეს. კომპიუტერებიც თავად გადასცეს პატარებს.

**ლელა იმედაშვილი:** –,,წელს 728 პირველკლასელი შემოაბიჯებს სკოლებში, რომელთაც საჩუქრად გადაეცათ კომპიუტერი, ასევე გადაეცა 60 მასწავლებელს, 1412 სოციალურად დაუცველ მოსწავლეს პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით გადაეცემათ სასკოლო სახელმძღვანელოები. სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ 172 მასწავლებელი უკვე სერთიფიცირებულია ოზურგეთში. გვყავს 5 მასწავლებელი, რომლებიც ათას ლარს მიიღებენ. ყველა მასწავლებელი საჩუქრად მიიღებს სახელმძღვანელოს. იმედი მაქვს, რომ წლევანდელი სასწავლო წელი განსაკუთრებულად წარმატებული იქნება როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებელთათვის“.

სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს, მხარის რწმუნებულმა ვალერი ჩიტაიშვილმა, მუნიციპალიტეტის გამგებელმა ილო ვაშაყმაძემ, საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა.

ბახვის საჯარო სკოლის დირექტორმა მზია ვაშალომიძემ მიულოცა ბავშვებს, საზოგადოებას ახალი სასწავლო წლის დაწყება, ისაუბრა მათი სკოლის წარმატებებზე და აღნიშნა, რომ ხელისუფლების ზრუნვას მათ მიმართ, წარმატებული მუშაობითა და კარგი შედეგებით უნდა უპასუხონ.



–,,კარგი შედეგები გვქონდა ჩვენ გასულ წელს, გვყავდა ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი, ჩვენი თითქმის ყველა აბიტურიენტი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში. გვაქვს კარგი შედეგები მასწავლებელთა სერთიფიცირების თვალსაზრისით. ჩვენ კი ხელისუფლების ზრუნვას მაღალი აკადემიური მოსწრებით უნდა ვუპასუხოთ.“ აღსანიშნავია, რომ ქ-ნი მზია მუნიციპალიტეტის იმ ხუთ მასწავლებელთა შორისაა, რომლებიც ათას ლარს მიიღებენ ხელფასის სახით.

მეორე საჯარო სკოლის დირექტორი ირინა ინარიძე პირველკლასელთა სამ ჯგუფში შეუძღვა სტუმრებს. პატარები უკვე მერხებს მისხდომოდნენ და კუთვნილ კომპიუტერებს აკვირდებოდნენ. შემდეგ შეეცადნენ ლექსებით მოეწონებინათ სტუმრებისათვის თავი. პირველკლასელმა დათა შარაშენიძემ, რომელმაც პირველმა დარეკა სკოლის ზარი, ყვავილებით შეამკო ნოდარ დუმბაძის ბიუსტი.

# ლელა იმედაშვილი სერტიფიცირებულ პედაგოგებს შეხვდა

მარი კოძოევი

გასულ კვირას ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი, ლელა იმედაშილი იმ პედაგოგებს შეხვდა, რომლებმაც გამოცდები ცოტა ხნის წინ ჩააბარეს და სერთიფიკატები მოიპოვეს. იმედაშვილმა 70-მდე მასწავლებელს გამოცდების ჩაბარება მიულოცა და მომავალ პედაგოგიურ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

შეხვედრას ოზურგეთის გამგებელი, ილია ვაშაყმაძე, საკრებულოს თავმჯდომარე, ალეკო მამეშვილი და პარლამენტის დეპუტატი, გოჩა შანიძე ესწრებოდნენ.

თითოეულმა მათგანმა მოკლედ შეაფასა განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები და ოზურგეთელ მასწავლებლებს დახმარება და გვერდში დგომა აღუთქვა.

შეხვედრის დასასრულს, იმედაშვილმა თქვა, რომ სერთიფიცირებული პედაგოგების საზეიმო დაჯილდოება ახლო მომავალში ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში შედგება. მანვე გამოთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ სულ უფრო იზრდება გამოცდების ჩაბარების მსურველ მასწავლებელთა რიცხვი. ,,შარშან განაცხადი 240-მა პედაგოგმა შემოიტანა წელს ეს რიცხვი 530-მდე გაიზარდა რაც მისასალმებელია".

# „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები“

მარი კოძოევი

№4 საჯარო სკოლის მეოთხე კლასელები და მათი მასწავლებელი, ეკა დარჩია ახალ სასწავლო წელს აქტიურად შეხვდნენ. 15 სექტემბერს აღნიშნულმა კლასმა მეტად საინტერესო გაკვეთილი ჩაატარა. გაკვთილის თემა იყო „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები" მიზანი კი სამშობლოს სიყვარულის გრძნობის გაღვიძება, შესწავლილი ხატოვანი გამოთქმების გამოყენება, აზრონების განვითარება, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება – დასაბუთება და ლექსიკური მარაგის გამდიდრება. მიზანი მიღწეული იქნა, ბავშვებმა ბევრი გამონათქვამი გაიხსენეს და ლექსები წარმოთქვეს სამშობლოსა და ქართულ ენაზე. მასწავლებელმა გაკვეთილი სლაიდების დახმარებით წარმართა. აღსანიშნავია, რომ ეკა დარჩია მე-4 საჯარო სკოლის ერთ-ერთი სერთიფიცირებული პედაგოგია „ამაყად ვხვდები ახალ სასწავლო წელს, რადგან უკვე სერთიფიცირებული მასწავლებელი ვარ. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს სკოლაში ყველაზე ბევრი, ათი სერთიფიცირებული მასწავლებელია, ასევე არიან პედაგოგები რომლებმაც ერთი გამოცდა ჩააბარეს. რაც შეეხება ახალ სასწავლო წელს შემართებით ვხვდებით ყველანი. მინდა ჩემს მოსწავლეებს წარმატებული წელი და კარგი სწავლა ვუსურვო"- გვითხრა ეკა დარჩიამ.

# ძვირფასო პედაგოგებო! ქვეყნის მომავალი თქვენს ხელშია

გურიის თავისუფალი დემოკრატების ლიდერი **თემურ სალუქვაძე** ახალი სასწავლო წლის დაწყებას ულოცავს მოსწავლეებს, პედაგოგებს, განსაკუთრებით კი თავის მშობლიურ №1 საჯარო სკოლას და გამოხატავს სრულ თანადგომას პედაგოგთა მიმართ.

**— „დიდია ჩვენი პედაგოგების ღვაწლი ახალი თაობის აღზრდაში. მათი სოციალური სცენარისა და ღირსების დაცვის აუცილებლობა, ეს უნდა გხდეს განათლების რეფორმის მთავარი ღერძი. მასწავლებლები არ უნდა იყვნენ დაკნინებულ მდგომარეობაში, მათი ღვაწლი მაქსიმალურად უნდა იყოს დაფასებული.**

**ჩვენ, თავისუფალი დემოკრატები პირველ რიგში ნდობას ვუცხადებთ პედაგოგებს და მოვითხოვთ განათლების სისტემის ისეთ რეფორმირებას, რომელიც ხელს შეუწყობს მასწავლებლებს თავისი ღირსება და კომპეტენცია შეინარჩუნონ, რათა ჩვენი შვილები აღზარდონ ღირსეულ მამულიშვილებად“**

# მსოფლიო დასუფთავების დღე ოზურგეთში

ოზურგეთის ქალაქისა და სოფლების რამდენიმე ადგილი დაასუფთავეს, თუმცა ქალაქის ცენტრში, ძირითადად მაღაზიების წინ ამ დღესაც ეყარა სასურსათო ნაწარმის შესაფუთი ფერადი ქაღალდები.

**მანანა გოგუაძე** (არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანეთა მოძრაობის" გურიის რეგიონის კოორდინატორი): –„სასიამოვნო ფაქტია, რომ ბევრი ადამიანი ჩაერთო ამ აქციაში. აქციის მიზანია ყველა ადამიანს შევახსენოთ, რომ საჭიროა ჩვენს ირგვლივ არსებული ტერიტორია ჩვენვე დავასუფთაოთ, ეს იქნება ჩვენი ეზო, ქუჩა სახლი თუ ქალაქი და ვიცხოვროთ სუფთა გარემოში.“

მსოფლიო დასუფთავების დღეებია 16, 17. 18 სექტემბერი. აღნიშნულ აქციაში ოზურგეთი 17 სექტემბერს ჩაერთო.

# პირველი დღე სკოლაში

# ის პატარა ვარსკვლავია დიდი გულით..

მარი კოძოევი

**ის პატარა ვარსკვლავია დიდი გულით.. იმოდენა გულით, რომ ულევ სიყვარულს იტევს და უშურველად გაცემაც შეუძლია. ის ვანოა ფიფია, ნიჭიერის ალმოჩენა.**

**ცდილობს მოეფეროს და მადლობა გადაუხადოს ირგვლივ ყველას იმ მხარდაჭერისთვის, რომლის წყალობითაც დიდ წარმატებას მიაღწია. ეს იყო მთავარი საბაბი, რამაც პროექტ „ნიჭიერის“ 2011 წლის გამარჯვებული კარდენახელი ვანო ფიფია ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრში მიიყვანა.**

ღიმილიანი სახით შევიდა ასოციაციის ოფისში, სათითაოდ მივიდა ყველასთან და გულთბილად გადაეხვია. შინაურულად იქცეოდა, ისე, როგორც საკუთარ სახლში. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, ახლადგაცნობილი მასპინძლები უკვე მისი მეგობრები არიან და ეს ურთიერთობა მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება.

—„მადლობას ვუხდი ორგანიზაციის ხელმძღვანელს ჩემი აქ მოწვევისთვის, მადლობა ბავშვებს ასეთი დახვედრისთვის და მასპინძლობისთვის, აღფრთოვანებული ვარ მათთან შეხვედრით. ესენი ჩემი მეგობრები გახდნენ და მათთან ურთიერთობას მომავალშიც გავაგრძელებ. ამ ბავშვებს ძალიან ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლიათ, ძალიან ნიჭიერები არიან. ვფიქრობ კარგი იქნება თუ მონაწილეობას მიიღებენ ნიჭიერში, მჯერა, რომ თუ ცდიან, წარმატებას აუცილებლად მიაღწევენ"-გვითხრა ვანომ.

როგორც ჩვენი მკითხველისათვის არის ცნობილი, აღნიშნული ორგანიზაციის ბავშვებიც გამოირჩევიან მუსიკისადმი სიყვარულით და მათთან მისულ სტუმრებს ყოველთვის მიუძღვნიან ხოლმე რამდენიმე სიმღერას. ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს, კარგი მასპინძლობა გამოიჩინეს და ვანოს სახელდახელო კონცერტი მოუწყვეს. სცენაზე საპატიო სტუმარიც მიიწვიეს, რომელმაც ხავერდოვანი ხმითა და მისეული, გამორჩეული შესრულების მანერით კიდევ ერთხელ გაგვაოცა. იმღერა, როგორც თვითონ აღნიშნა, ყველაზე საყვარელი სიმღერები, მათ შორის ის, რომელმაც „ნიჭიერში" გამარჯვება მოუტანა.

მისი სიმღერა რომ განსაკუთრებულ ემოციას იწვევს მსმენელში, ეს ახალი ნამდვილად არაა, მაგრამ ამჯერად მისი გულშემატკივრებისთვის არანაკლებ ემოციური გამოდგა ვანოსთან საუბარი ბავშვობაზე, პროექტში მონაწილეობასა და მომავალ გეგმებზე.

როგორც პატარა მომღერალმა აღნიშნა, მომავლისთვის ბევრი გეგმა აქვს, მათ შორის ოზურგეთში აღნიშნული ორგანიზაციის ბავშვებთან ერთად კონცერტის გამართვაც არის.

—„ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა კარგი მომღერალი გავხდე"-გვითხრა ვანომ.

მისი მისაბაძი მომღერალი ლეგენდარული ჰამლეტ გონაშვილი ყოფილა.

—„ყოველთვის გონაშვილის სიმღერებს ღიღინებს, ფინალში გადავიდა თუ არა ყვავილებით მის საფლავზე წავიდა"-გვითხრა ვანოს დედამ ნანა ვიბლიანმა.

მისი მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი ბაბუას, ნოდარ ვიბლიანს შეუტანია, რომელიც 17 წლის მანძილზე გუნდ „ჩელას" ხელმძღვანელი იყო. იგი რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. „მამაჩემის გარდაცვალება ისე განიცადა, რომ სამი წელი არ უმღერია მერე კი თქვა, ბაბუას უნდოდა კარგი მომღერალი გავმხდარიყავი, მის სურვილს აუცილებლად ავასრულებო და მთელი დატვირთვით მეცადინეობდა"-გვიყვება ნანა ვიბლიანი.

ნიჭიერამდე ვანოს მონაწილეობა არტ-გენის ფესტივალში მიუღია და მოწონებაც დაუმსახურებია. არტ-გენის ორგანიზატორს, ზაზა კორინთელს, იგივე ზუმბას მისთვის, როგორც ფესტივალის გამორჩეული მონაწილისათვის, ფანდური უჩუქებია.

შემდეგ იყო „ნიჭიერი". „გამარჯვებას არ ველოდი. ვფიქრობდი, რომ შეიძლებოდა მაქსიმუმ ფინალში მოვხვედრილიყავი. ხალხის დამსახურებაა რომ გავიმარჯვე. ზოგს ფინანსური საშუალება არ ქონდა რომ ზარებით დაეჭირა ჩემთვის მხარი, მაგრამ მთელი გულით მგულშემატკივრობდა. ამისთვის დიდი მადლობა მათ"-გვითხრა ვანო ფიფიამ.

რაც შეეხება ვანოს ოზურგეთში სტუმრობას. მისი მოწვევის იდეა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის ხელმძღვანელს, რომან ლომაძეს ეკუთვნის.

ვანომ გვითხრა, რომ გურიაში პირველადაა, ჩვენი მხარე ძალიან მოეწონა და სულ მალე ისევ გვეწვევა, მაშინ როცა კონცერტს მასპინძლებთან ერთად გამართავს.

# „ლურჯი იალქანის" სოლო კონცერტი ოზურგეთის თეატრში გაიმართა

მარი კოძოევი

16 სექტემბერს ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში ჯგუფ „ლურჯი იალქანის" სოლო კონცერტი გაიმართა. დაახლოებით საათნახევრის განმავლობაში ჯგუფის წევრება სხვადახვა ჟანრის საკუთარი მუსიკითა და ტექსტით შექმნილი სიმღერები შეასრულეს. მაყურებლის აპლოდისმენტებითა და ოვაციებით თუ ვიმსჯელებთ კონცერტმა მოწონება დაიმსახურა.

—„ემოციებით ვართ დატვირთული. მე მგონი კარგი კონცერტი გამოვიდა და მაყურებელი კმაყოფილი დარჩა -გვითხრა ღონისძიების შემდეგ ჯუფის ხელმძღვანელმა, გოგა გორდელაძემ.

ღონისძიების ორგანიზებაში ჯგუფს ოზურგეთის გამგეობის კულტურის სამსახური დაეხმარა. „მე ძალიან მიხარია, რომ ჩვენს რაიონში არიან ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდები. ამდენი ახალგაზრდა ერთად მშვენიერი ძალაა. მე მინდა წარმატებები ვუსურვო მათ. დღეს დავინახე დარბაზი, რომელსაც აქვს ამ ახალგაზრდების ნდობა და იმედი, დავინახე ისიც, თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ჯგუფის წევრები საქმეს, რომელიც ასე უყვართ.. თუკი ჩვენზე არის რამე დამოკიდებული მაქსიმალურად ვეცდებით ამ ადამიანებს ხელი შევუწყოთ განვითარებაში. გვითხრა კულტურის სამსახურის უფროსმა, მარინა ჯაფარიძემ.

ჯგუფი „ლურჯი იალქანი“ ათი წევრისაგან შედგება. ესენი არიან: გოგა გორდელაძე, ბექა მეფარიშვილი, გიორგი ბახტაძე, გიორგი გაფრინდაშვილი, არტურ ნიკოგოსიანი, გიორგი ჩავლეშვილი, ლერი შეწირული, ილა წულაძე, ვაკო ბლიაძე და გიგა ბელთაძე. როგორც თავად აღნიშნავენ მომავალში აქტიურად გააგრძელებენ მუშაობას. მათი უახლოესი გეგმები კი რუსთავი-2 პროექტ „ნიჭიერს" უკავშირდება. ჟგუფმა ნიჭიერის შესარჩევ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და შემდეგ ეტაპზე გადავიდა. პროექტის წესების თანახმად კი მონაწილეების „ბედი" მაყურებელზეა დამოკიდებული, ამიტომ ჯგუფის წევრებს გლშემატკივრების იმედი აქვთ.

# ვულოცავთ

**ლიზი ლომაძეს, მონატრებული შვილი შემია ულოცავს ს ვ ო ლ ა შ ი შ ე ს ვ ლ ა ს. ლიზი ცუხიშვილი.**

# ვილოცავთ ჯილოცავთ!

**ბებიები ლეილა სურგულაძე, მერი ბერსენაძე, ბაბუა ალეკო ბერსენაძე;**

***

**შპს „ჭალასაყდარი“ ულოცავს ანანო ბერსენაძეს პირველკლასელობას.**

# ინგლისური ენის სახლი ოზურგეთში

სიახლე ოზურგეთში – 2011 წლის სექტემბრიდან გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში დაარსდა ინგლისური ენის სახლი, განახლებული მეთოდური ლიტერატურით და ახალი პედაგოგებით, რომელთაც დახმარებას უწევს ამერიკის მშვიდობის კორპუსის მოხალისე. გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომლის მიზანი ახალგაზრდების მონაწილეობისა და განვითარების ხელშეწყობაა. ინგლისური ენის შემსწავლელი პროგრამა ორგანზიაციაში ამერიკის საელჩოს ხელშეწყობით 2005 წელს დაარსდა და დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს.

ინგლისური ენის სახლი მომხმარებელს სთავაზობს:

* **ინგლისური ენა საქმიანი ადამიანებისათვის (ბიზნესინგლისური) - კურსის მონაწილეებს მოეთხოვებათ ინგლისური ენის ფლობა ელემენტარულ დონეზე. გაკვეთილები ჩატარდება კვირაში ორჯერ და თითოეულის ხანგრძლივობა იქნება საათნახევარი.**

* **ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებს ენის სხვადასხვა საფეხურზე დაუფლებისათვის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისათვის.**

* **ინლგლისურენოვან საჯარო ბიბლიოთეკას**

* **ინლისურ ენაზე საუბრის საათს კვირაში ერთხელ**

* **ინგლისურენოვანი ფილმების ჩვენებას თვეში ორჯერ**

* **ამერიკული კულტურისა და ისტორიის შესწავლის კურსი**

მსურველებს შეუძლია დაგვიკავშირდეს შემდეგ მისამართზე: **ოზურგეთი, რუსთაველის ქ №4 (კინო "ოზურგეთის" გვერდით), II სართული. გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი. ტელეფონი: (ადგილობრივი) 27 41 26; (მობილური) 599 156384; 595 554800**

# ვულოცავთ დიდი სიყვარულით

***ახლახან ცნობილ მეცნიერს, აკადემიკოს არსენ კეჭაყმაძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. კოლორიტ ოზურგეთელს ეს თარიღი მეგობრებმა და ახლობლებმა მიულოცეს. მწერალმა, პროფესორმა გიზო ნიშნიანიძემ, პროფესორმა ვალერიან ცანავამ და სხვებმა არაერთი ეპიზოდი გაიხსენეს, თუ როგორ შეფასებას აძლევდნენ უფროსი თაობა, თანადროულები ბატონი არსენის პიროვნებას, მის იუმორს. დაბადების დღე თანაკლასელებმაც მიულოცეს. გთავაზობთ თანაკლასელის ამირან მამულაიშვილის წერილს:***

მე და არსენმა 1949 წელს დავამთავრეთ ქ. ოზურგეთის №1 საშუალო (იმხანად ვაჟთა) სკოლა. იმ დროისათვის გოგონები და ბიჭები ზოგიერთ სკოლაში ცალ-ცალკე სწავლობდნენ. რისთვის იყო ეს საჭირო, დიდხანს ვერ ვაცნობიერებდი. როგორც ჩანს მაშინაც ექსპერიმენტი ტარდებოდა განათლების სისტემაში, რასაც ალბათ სათანადო შედეგიც მოჰქონდა.

გოგონების მხრიდან შეინიშნებოდა მეტი თავაზიანობა, თავდაჭერილობა, ქალურობა, ხოლო ვაჟები უფრო ვაჟკაცურნი ჩანდნენ, მეტი პასუხისმგებლობა გააჩნდათ გოგონათა მიმართ.

ახლანდელ №1 საშუალო სკოლას, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვაჟთა სკოლა ერთქვა, ხოლო ახლანდელ №1 და №2 სკოლებს შესაბამისად–ქალთა საშუალო სკოლები. ჩვენი სკოლა ტერიტორიულად უფრო ახლოს იყო №1 ქალთა სკოლასთან და მოსწავლეთა უმრავლესობას ყოველდღე უნდა ჩაევლო მის წინ. უნდა გენახათ რა თავისებური ზეიმი, ჟივილ-ხივილი, ე.წ. „არევებიც“ კი მოჰყვებოდა მას. განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვენს შორის არსენი გამოჩნდებოდა. იგი მეტად ცელქი, მოუსვენარი და თანაც დიდი იუმორის მქონე იყო, რის გამოც როგორც ვაჟების, ისე გოგონების მეტ ყურადღებას იქცევდა. სიცელქესთან ერთად ნიჭიერებითაც გამოირჩეოდა, განსაკუთრებით რუსულში, რომელთანაც მოსწავლეთა უმრავლესობა მწყრალად იყო განწყობილი. მეც ამ კატეგორიას მივეკუთვნებოდი.

რუსულ ენას და ლიტერატურას მეტად მკაცრი, მომთხოვნი, მცოდნე და პრინციპული მასწავლებელი ბატონი სამსონ ჯაში გვასწავლიდა. ის რომ გაკვეთილზე შემოვიდოდა, ერთი გადახედვით ხვდებოდა, ვინ იცოდა გაკვეთილი და ვინ არა. შეგნებულად არსენს გამოიძახებდა, თითონაც ისვენებდა და ჩვენც. როგორც იტყვიან, სულს მოვითქვამდით, ვფიქრობდით, დღეს კი გადავრჩით, მაგრამ ხვალ რა გვეშველებაო. ასე გაგრძელდა სკოლის დამთავრებამდე. რუსული ენის კარგად დაუფლების გამო, არსენმა მისაღები გამოცდები უკრაინაში, ოდესის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აგრონომიულ ფაკულტეტზე ჩაბარა. წარჩინებით დაამთავრა იგი და მრავალი წელი მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობაზე სამეცნიერო დაწესებულებებში. დიდხანს იყო ჩაის მრეწველობის ანასეულის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, დასავლეთ საქართველოს საპროექტო-ტექნოლოგიური ცენტრის დირექტორი. დღეს იგი საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტია, პროფესორი და მიუხედავად სოლიდური ასაკისა, თავს მხნედ გრძნობს და აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მინდა ჩემს არსენს დიდი სიყვარულით მივულოცო დაბადების დღე და მისდამი მიძღვნილი ლექსიდან ერთი სტროფი შემოგთავაზოთ:

*„ბევრი ოთხმოცი გაგევლოს,*
*საქმით, კაცობით და რიდით*
*სულ შვენოდე შენს ოზურგეთს*
*კაცი ნაღდი, კაცი დიდი.“*

ძმური სიყვარულით

**ამირან მამულაიშვილი**

# ხსოვნა

## თორნიკე თოიძე

ნუ ტირი! თუ მართლა გიყვარვარ! ასე მეტყოდი ჩემო ბუნთულა ანგელოზო, დედის სიხარულო და უსაზღვრო ტკივილო. შენი სითბო და ალერსი მუდამ ჩემს გულში ბუდობს დედი, ჩემი შეუშრობელი ცრემლი და დარდი ხარ, შენი გახსენება ვერ წარმოიდგენ რა თავზარს მცემს. ძალიან მენატრები დეწკუ, ასე არ მეძახდი? თითქმის ყოველდღე მუხლდაჩოქილი ვებუტბუტები შენს გაყინულ სურათებს, რას არ გიყვები, რას არ გახსენებ, მაგრამ ამაოდ პასუხს არავინ მცემს. იმედგაცრუებული და გადაბოროტებული მოვდივარ და ჩემთვის ვბუტბუტებ – ეგ ყველაფერი სადამდე? რა დარჩენია შენი დედის გულს, მხოლოდ ტანჯვა და ცრემლები, ის ხომ დაინგრა და ჩაკვდა შენთან ერთად ჩემო პატარავ, დადგა კიდევ ერთხელ ჩვენთვის ამაზრზენი შემოდგომა. ერთ დროს როგორ გვიყვარდა და მოუთმენლად ველოდით მის მოსვლას. შენ ხომ შემოდგომის ხარ ჩემო ანგელოზო, მაგრამ ეს სიხარული ტკივილმა შეცვალა და ისევ ამ დროს დაგვაშორა განგებამ ერთმანეთს. როგორი უძლური გავხდი დედი როგორი იმედგაცრუებული გამომეცალე ხელიდან. შენი ტანჯული სახე ისევ თვალწინ მიდგეს და ხან უკიდურესობამდე მივყავარ. დღესაც ყველას უყვარხარ და ყველა სიყვარულით გიხსენებს: შენი ახლობლები, მეგობრები, შენი მასწავლებლები. რამხელა სიყვარული დათესე ასე პატარამ, ვიცი რომ ბევრი რამ გაწუხებს, გტკივა, მაგრამ არ იდარდო. შენი დედიკო შენთანაა, ყველა ტკივილს რომ დაგიამებს.

მიყვარხარ... მენატრები...

**შენი დედა**

# ვასილ ცხომელიძის მონატრება

ცხომელიძეების დინასტიას მოულოდნელმა სიკვდილმა გამოაკლო სიყვარულით აღსავსე, ცხოვრებით გამობრძმედილი, საუკეთესო მეუღლე, მამა, ბაბუა, სათნო ადამიანი, რომელსაც ბევრი სასიცოცხლო საქმეების კეთება ჰქონდა დაგეგმილი. რა ულმობელი ყოფილა სიკვდილი, მას ხომ არავინ ელის უდროოდ, როგორც შენ არ ელოდი და არც ჩვენ.

ჩვენო ვასიკო! რა უცებ გავიდა შენი გარდაცვალებიდან ორმოცი დღე. დრო შეუჩერებელია, რით ვანუგეშოთ შენი ავადმყოფი დედა, მამა იაშა, შენი დატანჯული მეუღლე ნანა, შენი შვილი გია, შვილიშვილი გიგილო, დედმამიშვილი გოჩა და ნონა და ყველა შენი განშტოება. ვერაფრით, გარდა ურთიერთთანადგომისა.

ჩემო ვასო, შენი ცხოვრების მოკლე მანძილზე, (შენ ხომ ივნისში 51 წელი შეგისრულდა) რამდენი ადამიანის გული დაგიპყრია შენი გაცნობით, მომსახურებით. შენ ხომ ოზურგეთი-თბილისის სამარშრუტო ავტობუსით ემსახურებოდი გურიის მოსახლეობას, რაც დადასტურდა შენი დაკრძალვის დღეს, იმდენი ადამიანი მოვიდა შენთან გამოსათხოვრად, რამდენსაც შენ იმსახურებდი იმ ხალხში სიყვარულს.

შენისთანა ადამიანები არ კვდებიან მარადისობაში გადადიან.

*შენი ბიძაშვილი*

**რომან ცხომელიძე**

# გაზეთ „ალიონის“ სტატიას „მერცხალის“ ხელმძღვანელობიდან გამოხმაურება არ მოჰყოლია

**ნუგზარ ასათიანი**

საქართველოს თასზე ასპარეზობას, „მერცხალის“ ხელმძღვანელობა დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა და ბათუმის „დინამოსთან“ ორთავე შეხვედრაში დამარცხდა. ბათუმში 0:3, ოზურგეთში 0:4. გასაგებია მთავარი მწვრთნელის პოზიცია,– მთავარი აქცენტის ეროვნულ ჩემპიონატზე გადატანა, ამიტომ, ოზურგეთში ახალგაზრდული შემადგენლობა გამოიყვანა, თუმცა ახალგაზრდებს მეტი მოტივაცია უნდა ჰქონოდათ თუნდაც ერთი საპასუხო გოლის გასატანად.

რაც შეეხება გაზეთ „ალიონში“ გამოქვეყნებულ მარი კოძოევის სტატიას „როცა გუნდიდან ამდენი კაცი ერთად მიდის, ეს მარტო ფეხბურთელების ბრალი არ შეიძლება იყოს“ (12 სექტემბერი, 2011წ. № 33-34), რომელიც „მერცხალიდან“ ხუთი წამყვანი ფეხბურთელის წასვლას შეეხებოდა, „მერცხალის“ ხელმძღვანელობიდან არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია, მით უმეტეს, სტატია არ იყო ცალმხრივი, ჟურნალისტის ეთიკის კოდექსის დაცვით ორთავე მხარის პოზიცია იყო გამოხატული.

როგორც სანდო წყაროდან გავიგეთ, ამ თემაზე გურიის გუბერნატორიცაა საქმის კურსში უშუალოდ გუნდის მთავარი მწვრთნელისაგან. პოზიცია ასეთია: ფეხბურთელებმა საპასუხისმგებლო მატჩის წინ დატოვეს გუნდი, სასწრაფოდ ეცნობა ამის შესახებ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და მოხდა მათი სწრაფი ჩანაცვლება. როგორც ჩანს, ისინი სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ და გუნდში არ უნდა დაბრუნდნენ...

რედაქცია ამ ეტაპზე თავს იკავებს სხვა კომენტარებისაგან, იქნებ ხელისუფლება მეტად დაინტერესდეს ამ თემით, მით უფრო, კლუბიც და სტადიონიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება და პრობლემა ადგილობრივ ფეხბურთელებს ეხება, ახალგაზრდებს, რომლებიც წლების მანძილზე ღირსეულად იცავდნენ „მერცხალის“ ღირსებას, გაჰქონდათ გოლები და გუნდის ხელმძღვანელობაც და გულშემატკივრებიც კმაყოფილი იყო მათი თამაშით, თუნდაც მათ მიერ დაშვებული შეცდომისათვის, ანგარიში ასე არ უნდა გაუსწორონ!


**გთავაზობთ სარიტუალო მომსახურებას!**

საჭიროების შემთხვევაში მოგემსახურებით კატაფალკით, სპეციალური მაცივრებით; დავამზადებთ „სასახლეებს“ ყველანაირი მასალით.
**ფასები მისაღები, მომსახურება ადგილზე მიტანით, 24 საათის განმავლობაში!**
მისამართი: ქ. ოზურგეთი, აკაკი წერეთლის 27;
ტელ: (599) 20 75 17.



რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 858 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

*რედაქტორი* ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru